ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 02-02/126

ქ. თბილისი 05. 07. 2013

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ

„სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების II თავის მე-5 მუხლის, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს მიღება 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" მაგისტრატურაში შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

1.1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

1.1.1. საქართველოს ისტორია	(5 ადგილი)
1.1.2. კავკასიის ისტორიული დემოგრაფია	(5 ადგილი)
1.1.3. ქართული ლიტერატურის ისტორია	(5 ადგილი)
1.1.4. ენათმეცნიერება	(5 ადგილი))
1.1.5. თარგმანმცოდნეობა	(5 ადგილი)

1.2. ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლა (ფაკულტეტი)

1.2.1. ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)	(8 ადგილი)
1.2.2. ეკონომიკა	(8 ადგილი)

1.3 **ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)**

1.3.1 ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული მოდელირება (6 ადგილი)

1.3.2 მცენარეთა ბიოლოგია და ბიოტექნოლოგია (5 ადგილი)

1.3.3 ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა (5 ადგილი)

1.3.4 ზოგადი ეკოლოგია (5 ადგილი)

1.4. **სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლა (ფაკულტეტი)**

1.4.1. ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება (8 ადგილი)

2. 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მაგისტრატურაში მიღების განსახორციელებლად განისაზღვროს შემდეგი ვადები:

2.1. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია – 19 აგვისტო – 9 სექტემბერი

2.2. გამოცდა სპეციალობაში – 10 სექტემბერი

2.3. გამოცდის შედეგების გამოცხადება – 12 სექტემბერი

2.4. გამოცდის შედეგების გასაჩივრება – 12 -13 სექტემბერი

2.5. აპელაციის შედეგების გამოცხადება – 14 სექტემბერი

2.6. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა და ხელშეკრულების გაფორმება მაგისტრანტობის კანდიდატებთან - 12 - 14 სექტემბერი

2.7. ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 14 სექტემბერი;

3. განისაზღვროს მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის რეგისტრაციისას წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

3.1. განცხადება რექტორის სახელზე;

3.2. საერთო სამაგისტრო გამოცდის სერტიფიკატი/საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩააბარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

3.3. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, (*2013 წლის კურსდამთავრებულებმა - ცნობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ*);

3.4. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (არსებობის შემთხვევაში);

3.5. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში - აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

3.6. პირადობის მოწმობა (პასპორტი) – დედანი და ასლი;

3.7. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი მოწმობა (ვაჟებმა) დედანი და ასლი;

3.8. ორი ფოტოსურათი (3×4) ელექტრონული ვერსიითურთ CD-ზე;

3.9. სტუდენტის ანკეტა (CV) შემოთავაზებული ფორმით

4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე